

შპს „გიმა“ (საიდენტიფიკაციო # 204453224)

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023წ.
31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

1. ზოგადი ინფორმაცია

2. შპს „გიმა“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად 2013 წლის 13 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით: 204453224. იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ჟიული შარტავას ქუჩა, N61.

2.1. საზოგადოების საქმიანობის საგანი:

შპს „გიმა“-ს ძირითადი საქმიანობას წარმოადგენს სტომატოლოგიურ მომსახურებას, კომპანია ჩართულია გადასახადის გადამხდელთა ერთიან სახელმწიფო რეესტრში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 204453224.

2.2. საზოგადოება არის მესამე კატეგორიის საწარმო.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1. საზოგადოების მიერ 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება. 2023წლის ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია მე-3 კატეგორიის შესაბამისად პირველად;

3.2. საზოგადოების საოპერაციო და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა - ლარი;

3.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის - „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 01 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის;

3.4. საზოგადოება წინა პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2018 წლის 01 იანვრიდან;

3.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც საზოგადოება იყენებს მსს ფასს-ზე გადასვლის შემდეგ საზოგადოების პირობებში არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან, რომელიც გამოყენებული იყო წინა საანგარიშგებო პერიოდებში. აღნიშნულის გათვალისწინებით ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების,

მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა;

- 3.6. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საზოგადოების ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდების ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საზოგადოების საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე;
- 3.7. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის - 31 დეკემბერს არსებული კურსით;
- 3.8. სასაქონლო-მატერიალური ფასულობების აღიარება ხდება თვითღირებულების მეთოდით. თვითღირებულების ჩამოწერა ხდება საშუალო შეწონილის მეთოდით;
- 3.9. საზოგადოება იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს და ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდს; თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება;
- 3.10. ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყონებლივ აღიარდება.
- 3.11. მომსახურებიდან მოთხოვნების დარიცხვა ხდება ოპერაციის მოხდენისთანავე - მომსახურების შემდეგ, დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება; შემოსავლის აღრიცხვა ხდება მაშინ, როცა ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სათანადოდ შეფასება.
- 3.12. მომსახურების ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივ საკრედიტო პირობებით აღიარებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში ასახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში;

- 3.13. ხელფასის დარიცხვა ხდება შრომითი ხელშეკრულების მიხედვით. თანამშრომელს უკავდება საშემოსავლოს და საპენსიო ფონდის გადასახადი, ხელზე იღებს დარჩენილ თანხას გადასახადების გადახდის შემდეგ;
- 3.14. მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო გასავალი აღიარდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების მიხედვით და აისახება ხარჯებში;
- 3.15. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით. საგადასახდო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახდო ანგარიშგებაში ასახული გადასახდის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);
- 3.16. საზოგადოების კაპიტალი განისაზღვრება საზოგადოების მფლობელების გადაწყვეტილების საფუძველზე. პარტნიორებს შეუძლიათ გაზარდონ საზოგადოების კაპიტალის ოდენობა დამატებითი შენატანებით და საზოგადოებაში ახალი პარტნიორის მიღებით. შენატანი საზოგადოების კაპიტალში შეიძლება წარმოდგენილი იქნეს როგორც ფულადი, ისე სხვა მატერიალური და არამატერიალური ქონების სახით.
- 3.17. საზოგადოების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს-ის შესაბამისად;

ფული და ფულადი ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები 2023წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2023
ნაღდი ფული სალაროში	169.00
ფული საბანკო ანგარიშზე - ლარი	21,060.00
ფული საბანკო ანგარიშზე - აშშ დოლარი	-
ფული საბანკო ანგარიშზე - ევრო	-
ფული საბანკო ანგარიშზე - ფუნტი სტერლინგი	-
სულ ფული და ფულადი ექვივალენტი	21,229

სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები 2023წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2023
GBG ჯი ბი ჯი	27740.7
უნისონი	3107
ჯი პი აი	2560
არდი	24876
ლაზღვევის კომპანია ქართუ	75
ანგარიშვალდებული პირი	30.00
<i>სულ სავაჭრო მოთხოვნები</i>	<u>58,389</u>

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2023წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	მიწის ნაკვეთი	შენობა ნაგებობები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი
ბალანსი 31.12.2022 მდგომარეობით	-	-	302,654.00
შემოსვლა გასვლა			230,849.00
ნაშთი 31.12.2023წ. მდგომარეობით	-	-	533,503.00
დაგროვილი ცვეთა			
ცვეთა პერიოდისათვის	-	-	(73,423.00)
საბალანსო ღირებულება 31.12.2023წ.მდგომარეობით	<u>-</u>	<u>-</u>	<u>460,080.00</u>

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები 2023წ. 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	31.12.2023წ.
შპს Sprint-Dental	107861
უნიდენტი	4845
ხათუნა ჭონიშვილი	3975
შპს ელკადენტი	7895
შ.პ.ს ალარა დენტი	114
შპს ალფა-დენტი	640
შპს გეა	2396
დენტალდეპო	350
შპს. ქლინ	138
უნიმელი	700
ოფის დენტალი	4640
უსაფრთხოების ექსპერტთა ჯგუფი	413
ყაზგრანსგამ თბილისი	440
თელასი	611
ბანა	101702
ოლსაილს	653
რიჩ გრუპი	228
დენტალ არტი	2000
ა17	2493
გეუბა	918
დენტვილ ჯორჯია	4235
ჯეპრა	8610
თბილისერვის ჯგუფი (დასუფთავება	37
ი/მ "ანჟელიკა მელიკ-მარუგოვა"	64148
არომაკო	150
შპს ალგანი	150
ექსპრეს დიაგნოსტიკა, დასუფთავება	160
მოწოდებიდან და მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	6,000
სულ სავაჭრო ვალდებულებები	326,502

დირექტორი:



მთ.ბუალტერი:


ნ-აქიძე

შპს "გიმა"


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2023წ. 31 დეკემბრისათვის

	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები</i>			
ფული და ფულადი ექვივალენტები	21,229.00	24,664.00	12,468.00
სავაჭრო მოთხოვნები	58,389.00	32,892.00	69,387.00
გაცემული ავანსები	10,932.00	1,260.00	1,222.00
წინასწარ გადახდილი გადასახადები			
<i>სასაქონლო-მატერიალური მარაგები</i>	325,175.00	208,746.00	178,246.00
სულ მიმდინარე აქტივები	415,725.00	267,562.00	261,323.00
<i>გრძელვადიანი აქტივები</i>			
ძირითადი საშუალებები	460,080.00	302,654.00	338,442.00
მიწის ნაკვეთი			
საინვესტიციო ქონება			
არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები	460,080.00	302,654.00	338,442.00
სულ აქტივები	875,805.00	570,216.00	599,765.00
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
სავაჭრო ვალდებულებები	326,502.00	52,700.00	60,377.00
გადასახდელი ხელფასები	29,903.00		8,181.00
საგადასახადო ვალდებულება	-		3,121.00
სხვა ვალდებულება	171,500.00	268,000.00	287,000.00
სულ ვალდებულებები	527,905.00	320,700.00	358,679.00
<i>საკუთარი კაპიტალი</i>			
საწესდებო კაპიტალი			20,000.00
გაუნაწილებელი მოგება	347,900.00	249,516.00	221,086.00
სულ საკუთარი კაპიტალი	347,900.00	249,516.00	241,086.00
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	875,805.00	570,216.00	599,765.00

დირექტორი:



მთ. ბუღალტერი:



შპს "გიმა"

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

დასახელება	31.12.2023	31.12.2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	2,651,443.00	2,414,150.00
არასაოპერაციო შემოსავალი	6,647.00	
სულ შემოსავალი	2,658,090.00	2,414,150.00
საოპერაციო ხარჯები:		
შრომის ანაზღაურება	1,251,237.00	1,208,084.00
საპენსიო დანარიცხები	28,027.00	23,096.00
ძირითადი მასალები	987,027.00	958,446.00
საიჯარო ქირა	61,972.00	45,000.00
საკომუნიკაციო ხარჯი		
კომუნალური ხარჯი	16,055.00	15,687.00
დაზღვევის ხარჯი	4,535.00	2,535.00
ცვეთის ხარჯი	73,424.00	70,497.00
საგადასახადო ხარჯი/ქონების გადასახადი		
საკანცელარიო ხარჯი	3,432.00	2,747.00
სხვადასხვა მომსახურება	133,122.00	58,961.00
სულ საოპერაციო ხარჯები:	2,558,831.00	2,385,053.00
არასაოპერაციო ხარჯები:		
საქველმოქმედო ხარჯი	-	-
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	875.00	667.00
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	875.00	667.00
მოგების გადასახადი		-
სულ ხარჯები	2,559,706.00	2,385,720.00
საანგარიშო პერიოდის ფინანსური მოგება (ზარალი)	98,384.00	28,430.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

შპს "გიმა"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 01.01.2023-31.12.2023 პერიოდისთვის

	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
1	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის დასაწყისში	24,664.00
2	მიღებულებიდან მიღებული ფულადი სახსრები (+)	2,596,027.00
3	მიმწოდებლებსა და თანამშრომლებზე გაცემული ფულადი სახსრები (-)	(2,192,962.00)
5	პარტნიორების შენატანი (+)	
	პარტნიორებზე თანხის დაბრუნება (-)	(96,500.00)
6	არასაოპერაციო შემოსავლები (+)	
7	არასაოპერაციო ხარჯები (-)	
	ბიუჯეტში გადახდილი თანხა (-)	(310,000.00)
8	საქვეანგარიშო თანხის დაბრუნება (+)	-
9	წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	21,229.00
	საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
10	შვილობილი საწარმოს შეძენა სახსრების გამოკლებით (-)	
11	ძირითადი საშუალებების შეძენა (-)	
12	ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებული სარგებელი (+)	
13	მიღებული პროცენტები (+)	
14	გადახდილი პროცენტები (-)	
15	მიღებული დივიდენდები (+)	
16	გაცემული დივიდენდები (-)	
17	წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-
	საფინანსო საქმიანობასთან დაკავშირებული ფულადი სახსრების მოძრაობა	
18	შემოსულობანი აქციათა ემისიის შედეგად (+)	
19	შემოსულობანი გრძელვადიანი სესხებიდან (+)	
20	ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებათა განაღდება (-)	
21	ინვესტიცია სხვა საზოგადოებაში (-)	-
23	წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-
24	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები საანგარიშო პერიოდის ბოლოს	21,229.00
25	ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა (შემცირება)	(3,435.00)

დირექტორი:

მთ.ბუღალტერი:

შპს "გიმა"

2023წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2021	20,000.00	221,086.00	241,086.00
2022 წლის საანგარიშო პერიოდის ცვლილებები			
საწესდებო კაპიტალის შემცირება	(20,000.00)		(20,000.00)
საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი		28,430.00	28,430.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2022	-	249,516.00	249,516.00
2023 წლის საანგარიშო პერიოდის მოგება/ ზარალი	-	98,384.00	98,384.00
ნაშთი 31 დეკემბერი 2023	-	347,900.00	347,900.00

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი: